ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ჟუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ოქტომბრის 20. № 20 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

206. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

207. დებულება ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ.

208. დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

209. დებულება სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

210. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცებასა და სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სისხლის სამართალი.

211. სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

206. დადგენილება

ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ;

ბ) სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხიმგებლობის შესახებ;

გ) სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დებულებათა მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიებითურთ.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დებულებათა შეფარდებისათვის ინსტრუქციების გამოცემა დაეკისროს: იმ ნაწილისათვის, რაც სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას ეხება,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, ხოლო იმ წაწილისათვის, რაც ადმინისტრატიულ გადასახდელთა დადების წესს ეხება,—საქართველოს სსრ მილიციის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ პროკურორთან შეთანხმებით, და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოებს.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

---

207. დებულება

ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ.

კარი I.

ზოგადი დებულება.

1. გადასახდელთა დადება საადმინისტრაციო წესით შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ გადასახდელი დაწესებულია კანონით;

ბ) უკეთუ გადასახდელი დაწესებულია უწყებათა დადგენილებებით—კანონში აღნიშნულ შემთხვევასა და ფარგალში;

გ) უკეთუ გადასახდელი დაწესებულია ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სავალდებულო დადგენილებებით—კანონში აღნიშნულ შემთხვევასა და ფარგალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი II.

ადმინისტრატიულ გადასახდელთა დადების წესი.

2. იმ დარღვევის შესახებ, რაც გამოიწვევს ადმინისტრატიულ გადასახდელს, შედგენილ უნდა იქნეს ოქმი.

ოქმი შეიდგინება და დარღვევა გამოიკვლევა იმ წესების მიხედვით, რაც დადგენილია დანაშაულთა წინასწარი გამოკვლევისათვის.

ოქმს ადგენენ და გამოკვლევას აწარმოებენ მილიციის ორგანოები და სხვა თანამდებობის პირნი, ვისაც ამის უფლება კანონით მინიჭებული აქვთ. სოფლად საქმის გამოკვლევა შეუძლიან სასოფლო საბჭოს წევრს ან სოფლის აღმასრულებელს.

ოქმი წაეკითხება ბრალდებულს, რომელსაც შეუძლიან წარადგინოს თავისი ახსნა-განმარტება.

3. ოქმი, შედგენისთანავე, დაუყოვნებლივ გაეგზავნება კუთვნილებისამებრ იმ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია საადმინისტრაციო წესით გადასახდელის დადებისათვის, მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

4. გადასახდელს საადმინისტრაციო წესით, უკეთუ კანონში ან გადასახდელის შემომღებ აქტში სხვა რამ არ არის ნაჩვენები, დაადებს მილიციის საარაიონო ან საქალაქო სამმართველოს უფროსი—კუთვნილებისამებრ.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული წესის გამონაკლისად:

ა) ოქმი ისეთი დარღვევის შესახებ, რაც ჩადენილია სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სხვა რესპუბლიკებისა ან ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისა და სახალხო კომისართა საბჭოების წევრებისა, რესპუბლიკების ან ავტონომიური ოლქების პროკურორებისა, აგრეთვე საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეების მიერ, წარედგინება, საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს მეშვეობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—უშუალო გადაწყვეტის ან სათანადო წარმართვისათვის;

ოქმი ისეთი დარღვევის შესახებ, რაც ჩადენილია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ამ რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისა, ამ რესპუბლიკებისა და ოლქის პროკურორებისა, აგრეთვე რაც ჩადენილია საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეების მიერ, წარედგინება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—უშუალო გადაწყვეტისათვის;

ბ) ოქმი ისეთი დარღვევის შესახებ, რაც ჩადენილია საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების წევრებისა, მოსამართლეებისა, პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ, წარედგინება გადასაწყვეტად სათანადო საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს;

გ) ოქმი ისეთი დარღვევის შესახებ, რაც ჩადენილია უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების მიერ, გაეგზავნება, საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს მეშვეობით, სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში;

დ) ოქმი ისეთი დარღვევის შესახებ, რაც ჩადენილია მცირეწლოვანთა ან არასრულწლოვანთა (ხოლო 16 წლის ასაკამდე) მიერ, გაეგზავნება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

6. უკეთუ საქმე ამა თუ იმ დარღვევის შესახებ სასამართლომ მიიღო თავის და განსახილველად, ბრალდებულს არ შეიძლება იმავე დარღვევისათვის დაედვას გადასახდელი საადმინისტრაციო წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო წარმართავს საქმეს საადმინისტრაციო წესით განსახილველად.

7. დადგენილება გადასახდელის საადმინისტრაციო წესით დადების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს, უკეთუ კანონში სხვა რამ არ არის აღნიშნული, მხოლოდ ორი თვის განმავლობაში დარღვევის დღიდან; ამ ვადის გასვლისას საქმე უნდა მოისპოს.

უკეთუ საქმეს პირველად აწარმოებდა სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანო, აღნიშნული ორი თვის ვადის დენა გამოიანგარიშება საქმის სათანადო საადმინისტრაციო ორგანოსათვის გადაცემის დროიდან.

8. ადმინისტრატიული გადასახდელი არ შეიძლება დაიდვას ისეთი ქმედობისათვის, რაც, თუმცა მისი ჩადენის დროს დარღვევა იყო, მაგრამ დადგენილების გამოტანის დროისათვის დარღვევად აღარ ჩაითვლება, დარღვეული აქტის (კანონისა, სავალდებულო დადგენილებისა და სხვ.) შეცვლისა, გაუქმებისა ან მოქმედების ვადის გასვლის გამო.

9. ადმინისტრატიული გადასახდელი შეიძლება დაიდვას მხოლოდ ისეთი ქმედობისათვის, რაც ზედმიწევნით შეესაბამება იმ კანონით, სავალდებულო დადგენილებით ან სხვა აქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნებს, რომლის ძალითაც გადასახდელი უნდა დაიდვას.

10. საადმინისტრაციო წესით შეიძლება დაიდვას მხოლოდ ის გადასახდელი და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია უწყებული დარღვევისათვის კანონით, სავალდებულო დადგენილებით ან სხვა სათანადო აქტით (მუხ. 1).

სხვადასხვა გადასახდელ ღონისძიებათა შეერთება, უკეთუ სათანადო აქტში ამ შეერთების უფლება გათვალისწინებული არ არის, არ შეიძლება.

11. ადმინისტრატიული გადასახდელის სახისა და ოდენობის განსაზღვრის დროს, ამ გადასახდელის დამდებმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს დარღვევის ხასიათი და ბრალდებულის წლოვანება, სოციალური მდგომარეობა და ქონებრივი შეძლებულობა.

12. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ უნდა იყოს წერილობითი.

ამ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) დადგენილების გამომტანი ხელისუფლების ორგანო;

მუზეუმი 2007 ბიბლიოთეკა

ბ) დადგენილების გამოტანის დრო—წელიწადი, თვე და რიცხვი;

გ) ბრალდებულის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება და სოციალური მდგომარეობა;

დ) დარღვევის ჩადენის დრო და ადგილი;

ე) ის მოქმედება, რითაც დარღვევა გამოიხატა;

ვ) კანონი, სავალდებულო დადგენილება ან სხვა აქტი, რომლითაც ქმედობა გათვალისწინებულია;

ზ) დადებული გადასახდელის სახე და ოდენობა.

დადგენილებას ხელს უნდა აწერდეს მისი გამომტანი პირი.

13. გადასახდელის დადების შესახები დადგენილების ასლი უნდა ჩაბარდეს გადასახდელ-დადებულ პირს და თანაც გამოეცხადოს გადასინჯვის შესახები თხოვნის შეტანისა და განსაჩივრების წესი და ვადა.

კარი III.

ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გადასინჯვისა და განსაჩივრების წესი.

14. ხუთი დღის ვადაზე ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან გადასახდელ-დადებულ პირს შეუძლიან სთხოვოს გადასახდელის დამდებ ორგანოს დადგენილების გადასინჯვა და აგრეთვე განასაჩივროს ეს დადგენილება.

გადასინჯვის თხოვნის გამო გამოტანილი დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთი დღის განმავლობაში იმ დღიდან, რაც ბრალდებულს ეცნობა ეს დადგენილება.

15. საჩივარი შეიტანება:

ა) მილიციის სარაიონო ან საქალაქო სამმართველოს უფროსის დადგენილებაზე—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში—კუთვნილებისამებრ;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაზე, მე-5 მუხ. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში—კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ გამოტანილი დადგენილებანი არ განისაჩივრება.

16. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც გადასახდელის დამდები ორგანის მეშვეობით, ისე უშუალოდ თვით მე-15 მუხლში აღნიშნულ ორგანოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ საჩივარი შეტანილია ადმინისტრატიული გადასახდელის დამდები ორგანოს მეშვეობით, ეს ორგანო მოვალეა წარადგინოს საჩივარი მთელი საქმითურთ კუთვნილებისამებრ სამი დღის ვადაზე.

უკეთუ საჭიროა, გადასახდელის დამდებ ორგანოს შეუძლიან დაურთოს თავისი ახსნა-განმარტება.

17. საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს განაპროტესტოს დადგენილება ადმინისტრატიული გადასახდელის დადებისა და საქმის მოსპობის შესახებ.

18. გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გამო გადასინჯვის თხოვნისა და საჩივრის შეტანა (მე-14 მუხ. 1-ლი ნაწ.) ან პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულებას.

უკეთუ განსაჩივრებულია დადგენილება იმ თხოვნის გამო, რაც შეტანილ იქნა ადმინისტრატიული გადასახდელის დადებაზე გამოტანილი დადგენილების გადასინჯვის შესახებ (მე-14 მუხ. მე-2 ნაწ.), დადგენილების აღსრულების შეჩერება სავალდებულო არ არის.

19. გადასინჯვის თაობაზე შეტანილი თხოვნის გამო ან საჩივრის გამო ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გადასინჯვის დროს ადმინისტრატიული გადასახდელის ერთი სახე შეიძლება შეიცვალოს სხვა სახედ, ხოლო გადასახდელის სიმძიმის გაუდიდებლად, გადასახდელის აღსრულება გადაიდოს სხვა ვადისთვის ან იგი სრულიად გაუქმებულ იქნეს; ფულადი გადასახდელი შეიძლება აგრეთვე ვადადანაწილებულ იქნეს.

დადგენილების ასლი მიეცემა ბრალდებულს, ხოლო, უკეთუ დადგენილება გამოტანილია საპროკურორო ზედამხედველობის პირის პროტესტის გამო, ასლი გაეგზავნება აგრეთვე ამ უკანასკნელსაც.

20. წინასწარი შეცნობით გადასახდელის უკანონოდ დადება გამოიწვევს გადასახდელის დამდები პირის პასუხისგებაში მიცემას სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლის თანახმად.

21. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა ან საქალაქო საბჭოს დადგენილება, რაც გამოტანილია საჩივრისა თუ პროტესტის გამო, საბოლოოა და არ განისაჩივრება.

ნ ა ნ ი IV.

ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულების წესი.

22. დადგენილებას ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღასრულებს მილიცია ან სოფლის აღმასრულებელი.

23. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულებას ის, ვისაც ეს ევალება, უნდა შეუდგეს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან. ის დადგენილება, რომლის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებასაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შესდგომიან, ძალასა ჰკარგავს.

შენიშვნა. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაში შესულად ითვლება იმ ვადების გასვლისას, რაც დაწესებულია გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შეტანისათვის და განსაჩივრებისათვის (მუხ. 14), უკეთუ თხოვნა გადასინჯვის შესახებ, საჩივარი ან პროტესტი შეტანილი არ არის.

საჩივრისა თუ პროტესტის გამო გამოტანილი დადგენილება (მუხ. 21) ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

24. როდესაც ადმინისტრატიულ გადასახდელად დადებულია ჯარიმა, ამ ჯარიმის თანხა დამრღვევმა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ სააგენტოში ან სასოფლო საბჭოში იმ ადგილის მიხედვით, სადაც დარღვევა მოხდა, ან სადაც დამრღვევი ცხოვრობს; ჯარიმა შეტანილ უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში დღიდან დამრღვევისათვის გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გამოცხადებისა.

ჯარიმის იძულებით გადახდევინება მოხდება ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული ვადის გასვლისას და იგი განხორციელებულ იქნება დამრღვევის ქონებაზე გადახდევინების მიქცევით საერთო წესისამებრ.

საადმინისტრაციო წესით დადებული ჯარიმის გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17, მე-18 და 21 მუხლები (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-ი, მუხ. 518; 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10; 1929 წ. 71 №-ი, მუხ. 672).

მუშისა თუ მოსამსახურისათვის საადმინისტრაციო წესით დაკისრებული ჯარიმის იძულებით გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს მის სამუშაო ხელფასზე, რაც მას დამქირავებლისაგან ერგება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც გადასახდევინებელია ჯარიმა, დადებული იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რომელიც გამოცემულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მუშა-ძალის დაქირავებისა, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის საკითხების შესახებ; ასეთ შემთხვევაში გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს აგრეთვე სამუშაო ხელფასზედაც, რაც დაჯარიმებულს ერგება.

25. იძულებითი მუშაობა მოიხდება შრომა-გასწორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავში დადგენილი წესისამებრ (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149).

26. თავისუფლების აღკვეთა მოიხდება შრომა-გასწორების კოდექსით დადგენილი წესისამებრ.

27. ის დადგენილება, რომლითაც ადმინისტრატიული გადასახდელი იძულებითი მუშაობის ან თავისუფლების აღკვეთის სახით დაედვა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო მსახურს, აღსრულებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 30^1 და 30^2 მუხლებში აღნიშნული წესების შესაბამისად (კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5; 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 227).

28. უკეთუ ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულების დროს გამოაშკარავებულ იქნა, რომ გადასახდელის სახე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობა არ შეესაბამება ჩადენილ დარღვევას, დამრღვევის სოციალურ მდგომარეობას ან ქონებრივ შეძლებულობას, ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გამომტან ორგანოს შეუძლიან გადასახდელის ერთი სახე შესცვალოს სხვა სახედ, იმ სახეთაგან, რაც აღნიშნულია სათანადო აქტში (კანონში, სავალდებულო დადგენილებაში და სხვ.), რომლის ძალითაც დადებულ იქნა გადასახდელი, ისე-კი, რომ გადასახდელის სიმძიმე გადიდებულ არ იქნეს, გადასდოს გადასახდელის აღსრულება სხვა ვადისათვის, შეამციროს გადასახდელი ან სრულიად გააუქმოს იგი, ხოლო ფულადი გადასახდელი აგრეთვე დაანაწილოს ვადებზე.

29. ადმინისტრატიული გადასახდელი არ აღისრულება, ხოლო დაწყებული აღსრულება გაუქმდება, უკეთუ ქმედობა, რომლისთვისაც გადასახდელი დაიდვა, თუნდაც იგი ჩადენის დროს დარღვევა ყოფილიყოს, დარღვევად აღარ ჩაითვლება, დარღვეული აქტის შემდგომ შეცვლისა, გაუქმებისა ან მოქმედების ვადის გასვლის გამო.

დებულება

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

I. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა.

1. სახალხო კომისარიატებს და მათთან გათანაბრებულ ცენტრალურ დაწესებულებებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, რომლებითაც სათანადო ტერიტორიის ფარგლებში მოსახლეობისათვის, აგრეთვე დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის დამყარდება განსაზღვრული მოვალეობანი, რის დარღვევაც გამოიწვევს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო ან სისხლის სამართლის წესით.

2. სავალდებულო დადგენილების გამოცემისათვის უფლებამოსილი ორგანოს (მუხ. 1) განყოფილებას, სამმართველოს და სხვა ნაწილს, აგრეთვე ისეთ დაწესებულებას, რომელიც კანონში აღნიშნული არ არის, უფლება არა აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება; საჭირო შემთხვევაში მან უნდა სთხოვოს სათანადო ორგანოს, რათა სავალდებულო დადგენილება ამ ორგანომ გამოსცეს.

3. სავალდებულო დადგენილების გამოცემისათვის უფლებამოსილ ორგანოს (მუხ. 1) უფლება არა აქვს თავისი უფლებამოსილობა სავალდებულო დადგენილების გამოცემისა გადასცეს ქვემდგომ ორგანოს ან სავალდებულო დადგენილების გამოცემა ქვემდებარე დაწესებულებას მიანდოს.

4. სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ხოლო ხელისუფლების ქვემდგომი და ადგილობრივი ორგანოს სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აგრეთვე ხელისუფლების ზემდგომი

მოწინავე ბიბლიოთეკა

და ცენტრალური ორგანოს დადგენილებებს, ინსტრუქციებს და სხვა აქტებს, ან არ უნდა იმეორებდეს ამ აქტების შინაარსს.

შენიშვნა. უკეთუ ხელისუფლების ზემდგომი ან ცენტრალური ორგანო გამოსცემს აქტს ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც უკვე რეგულირდება ხელისუფლების ქვემდგომი ან ადგილობრივი ორგანოს სავალდებულო დადგენილებით, ამ სავალდებულო დადგენილების სათანადო ნაწილი ჰკარგავს თავის ძალას და მის გამომცემი ორგანო მოვალეა სათანადოდ შესცვალოს ან გააუქმოს თავისი სავალდებულო დადგენილება.

5. სახალხო კომისარიატებსა და მათთან გათანაბრებულ ცენტრალურ დაწესებულებებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი ისეთი საკითხების შესახებ, რაც კანონში ცალკეა აღნიშნული.

6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ;

ბ) სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ქონების დაცვის შესახებ;

გ) სახანძრო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

დ) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის შესახებ;

ე) სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და გადამდებ და სოციალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის შესახებ;

ვ) საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებისა (სასადილო, რესტორანი, ტრაქტირი, საჩაიე, სასტუმრო, ღამის გასათევი სახლი, აბანო, საბანაო ადგილი, საპარიკმახერო და სხვ.), ბინებისა, ეზოებისა და ქუჩებისა, აგრეთვე წყალსაცავების სანიტარული მოვლა-პატრონობის შესახებ;

ზ) ქალაქად ქვაფენილებისა, ტროტუარებისა, წყალსადენის ქსელისა და წყალსადინარე მილების წესიერად შენახვის შესახებ;

თ) სახლის ფასადებზე სანორმო ნიშნების გაკეთებისა, კიბეების განათებისა და სხვ. შესახებ;

ი) შენობებისა და მათი ნაწილების რემონტისა და აღდგენისა და ისეთი შენობების და მათი ნაწილების დაშლის შესახებ, რაც ჩამოქცევის საფრთხეს წარმოადგენს; სახურავებზე თოვლის გაწმენდის შესახებ;

კ) ტყეებისა, პარკებისა, სკვერებისა, ნათესებისა, ველებისა და, საერთოდ, მწვანე ნარგავების განადგურებისა, გაფუჭებისა და საქონლის მიშვებით წახდენისაგან დაცვის შესახებ;

ლ) ეპიზოოტიისა და მცენარეების მავნებლებთან წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მ) საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოთა (ტრამვაი, ავტობუსი, სასადილო, რესტორანი, ტრაქტირი, საჩაიე, სასტუმრო, ღამის გასათევი სახლი, აბანო, საბანაო ადგილი, საპარიკმახერო და სხვ.) მოქმედების წესის შესახებ;

ნ) ვაჭრობის წარმოების ადგილისა, დროისა და წესის შესახებ; ბაზრებზე, იარმუკებზე და ვაჭრობისათვის მიჩენილ სხვა ადგილებზე წესრიგის დამყარების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) თეატრებისა, კინოებისა, კლუბებისა, სათამაშო ადგილებისა და სხვ. გახსნისა და მოქმედების წესის შესახებ;

პ) საგზაო მშენებლობის შესახებ—კანონით დადგენილ ფარგლებში;

ჟ) ადგილობრივი ტრანსპორტის მომსახურეობისათვის სასყიდლის ნიხრის დაწესების შესახებ;

რ) გამვლელი ჯარის დაბინავების შესახებ;

ს) სხვა საკითხების შესახებ, რომლის თაობაზედაც სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება კანონით არის მინიჭებული.

7. სავალდებულო დადგენილებანი, გარდა ამა მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გამონაკლისებისა, შეიძლება გამოცემულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლის ვადით დღიდან დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისა. მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულო დადგენილება ძალასა ჰკარგავს.

სახალხო კომისარიატებისა და მათი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებების სავალდებულო დადგენილებანი, ხოლო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათაგან ის სავალდებულო დადგენილებანი, რაც გამოსაცემია: 1) რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ (მე-6 მუხლის „ა“ პუნ.), 2) სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მე-6 მუხლის „ე“ პუნ.), 3) სანიტარიის შესახებ (მე-6 მუხ. „ვ“ პუნ.) და 4) კეთილმოწყობის შესახებ (მე-6 მუხ. „გ“, „თ“, „ი“ და „კ“ პუნ.), შეიძლება გამოცემულ იქნენ ერთ წელიწადზე მეტი ვადითაც და იმოქმედონ გაუქმებამდე, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს თვით სავალდებულო დადგენილებაში.

ის სავალდებულო დადგენილება, რაც გამოცემულია მისი მოქმედების ვადის აღუნიშვნელად ან იმის აღუნიშვნელად, რომ იგი მოქმედობს გაუქმებამდე, იგულისხმება ერთი წლის ვადით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებად.

8. სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მისი „სავალდებულო დადგენილებად“ დასახელება;

ბ) მისი გამომცემი ხელისუფლების ორგანო;

გ) მისი გამოცემის დრო—წელიწადი, თვე და რიცხვი;

დ) ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდება მისი მოქმედება; ამასთანავე, დადგენილება შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც მისი გამომცემი ორგანოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მთლად, ისე ამ ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე, რაც ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული თვით სავალდებულო დადგენილებაში;

ე) იმ პირთა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წრე, რომლებზედაც ვრცელდება დადგენილება; ამასთანავე, იგი შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც უწყებული ტერიტორიის მოსახლეობაზე მთლად და მასზე მყოფ ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაზე, ისე მათ ამა თუ იმ განსაზღვრულ ჯგუფებზე;

ვ) მის მიერ დადგენილი მოვალეობანი;

ზ) პასუხისმგებლობა დადგენილ მოვალეობათა დარღვევისათვის—რა პასუხისმგებლობას იწვევს დარღვევა, საადმინისტრაციო წესით თუ სისხლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლის წესით (მუხ. 13); ამასთანავე აღნიშნულ უნდა იყოს იმ გადასახდელის სახე და ოდენობა, რაც შეიძლება დაედვას დამრღვევს, და კანონი, უკეთუ გადასახდელი დადგენილია კანონით;

თ) ვადა, რომლითაც იგია გამოცემული (მუხ. 7), და ვადა, რომლიდანაც იგი ძალაში შედის (მუხ. 9).

სავალდებულო დადგენილებას ხელს უნდა აწერდეს მისი გამომცემი ორგანოს ხელმძღვანელი, ხოლო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილებას—აგრეთვე ამ კომიტეტის და საბჭოს მდივანიც.

9. სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობად ოფიციალურ ბეჭდვითს ორგანოში (სადაც იგი გამოდის) დაბეჭდვით, ან თვალსაჩინო ადგილებზე გამოკიდვით, როგორიც არის: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, საქალაქო საბჭოს და სასოფლო საბჭოს შენობა, ქუჩა, მოედანი და სხვა საჯარო ადგილი, და ძალაში შედის ათი დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა, უკეთუ თვით სავალდებულო დადგენილებაში უფრო გვიანი ვადა არ არის აღნიშნული.

დაუყოვნებელ შემთხვევაში, როგორიც არის: ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან, ეპიდემიასთან და ეპიზოოტიასთან, გამვლელი ჯარის დაბინავება და სხვ., შეიძლება აღნიშნული ვადის შემცირება და სავალდებულო დადგენილების სამოქმედოდ შემოღება დღიდან მისი გამოქვეყნებისა; ხოლო სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებამდე მისი სამოქმედოდ შემოღება არ შეიძლება.

სასოფლო საბჭოებმა უნდა წაიკითხონ ამომრჩეველთა კრებებზე სავალდებულო დადგენილებანი, რომელთა მოქმედებაც უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ვრცელდება.

10. სამი დღის ვადაზე დღიდან ხელის მოწერისა სავალდებულო დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს ცნობად:

ა) სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულების სავალდებულო დადგენილების ასლი—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას და რესპუბლიკის პროკურორს;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილების ასლი—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას და რაიონის პროკურორს;

გ) რაიონში შემავალი ქალაქის საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილების ასლი—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს და რაიონის პროკურორს.

11. ინსტრუქციას სავალდებულო დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ხელისუფლების იგივე ორგანო, რომელმაც სავალდებულო დადგენილება გამოსცა.

12. განსაკუთრებული წესებით რეგულირდება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) იმ ადგილას, სადაც შემოღებულია რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებანი—განსაკუთრებული ან სამხედრო წესების სახით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 250);

ბ) სასოფლო საბჭოების მიერ;

გ) აგრომინიმუმის დაწესების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 101).

II. პასუხისმგებლობა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

13. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დაწესდება: ა) კანონით (სასამართლო ან საადმინისტრაციო წესით) და ბ) თვით სავალდებულო დადგენილებით (საადმინისტრაციო წესით)— კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

შენიშვნა. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირნი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხს აგებენ კერძო პირების თანაბრად.

14. უკეთუ კანონში სხვა რამ გადასახდელი აღნიშნული არ არის, სავალდებულო დადგენილებებით, ამ დადგენილებების დარღვევისათვის, შეიძლება დაწესებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ჯარიმა;

ბ) იძულებითი მუშაობა.

15. ადმინისტრატიული გადასახდელი (მუხ. 14) სავალდებულო დადგენილებით შეიძლება დაწესებულ იქნეს შემდეგ ფარგლებში:

1) სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანაბრებული ცენტრალური დაწესებულებების სავალდებულო დადგენილებებით—ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;

2) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით:

ა) ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;

ბ) სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის—ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ხუთმეტ დღემდე;

3) რაიონებში შემავალი ქალაქების საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით:

ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ხუთმეტ დღემდე.

16. უკეთუ მიზანშეუწონელია ჯარიმის ან იძულებითი მუშაობის შეფარდება დარღვევის უმნიშვნელობისა ან დამრღვევის უცოდნელობის გამო და სხვ., ადმინისტრატიული გადასახდელის დადებისათვის უფლებამოსილ ორგანოს შეუძლიან დასჯერდეს დამრღვევისათვის გაფრთხილების გამოცხადებას.

17. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადება და აღსრულება მოხდება იმ საერთო წესების მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დადგენილია ადმინისტრატიულ გადასახდელთა დადებისა და აღსრულებისათვის (იხ. დებულება ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ), ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული გამონაკლისებით.

18. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ქვემდებარეობაში სოფელ-ადგილების მქონე საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით ადმინისტრატიული გადასახდელის დადება სოფლად ამ დადგენილებათა დარღვევისათვის, შეიძლება მიენდოს სასოფლო საბჭოებს, რომლებიც ამ შემთხვევაში დაადებენ დამრღვევთ ადმინისტრატიულ გადასახდელს იმ წესით, რაც დადგენილია სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ; ასეთ შემთხვევაში სასოფლო საბჭოებს შეუძლიანთ დაადვან დამრღვევთ ადმინისტრატიული გადასახდელი—ჯარიმა ათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ხუთ დღემდე, უკეთუ თვით სავალდებულო დადგენილებით გათვალისწინებული არ არის უფრო ნაკლები გადასახდელი.

19. სავალდებულო დადგენილებებით ადმინისტრატიული გადასახდელის დადება ამ დადგენილებების დარღვევისათვის ისეთ ქალაქში, სადაც არსებობს ქალაქის მილიციის განყოფილებანი, შეიძლება მიენდოს ამ განყოფილებათა უფროსებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში შეუძლიანთ დაადვან დამრღვევთ გადასახდელი—ჯარიმა ოცდაათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ათ დღემდე, უკეთუ თვით დადგენილებით გათვალისწინებული არ არის უფრო ნაკლები გადასახდელი.

20. უკეთუ მე-18 და 19 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასოფლო საბჭო ან ქალაქის მილიციის განყოფილების უფროსი საჭიროდ სცნობს გადასახდელის დადებას ისეთი ოდენობით, რაც მის უფლებამოსილობას აღემატება, იგი დამრღვევს გადასახდელს არ დაადებს და საქმეს წარუდგენს მილიციის სათანადო სარაიონო ან საქალაქო სამმართველოს.

21. ტფილისის საქალაქო საბჭოს უფლება აქვს—ქალაქ ტფილისისათვის გამოსაცემ სავალდებულო დადგენილებაში, რომლითაც რეგულირდება წესრიგი საჯარო ადგილებში და მოძრაობა ქუჩებში, უკეთუ ამასთანავე სავალდებულო დადგენილებაში ზედმიწევნით აღნიშნულია დარღვევის სახე და გადასახდელად დანიშნულია ჯარიმა განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო არა უმეტეს სამი მანეთისა, დააწესოს ჯარიმის გადახდევინება ასეთი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის (ტრამვაისა, ავტომობილებისა, ეკიპაჟებისა, ცხენებისა და ველოსიპედების მოძრაობის წესების დარღვევა, თამბაქოს მოწევა, ნამწვების გადაყრა, გაჭუჭყიანება და სხვ.) დარღვევის ადგილსავე.

22. 21 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) ჯარიმას ახდევინებენ მილიციის თანამშრომელნი ან ის თანამდებობის პირნი, რომელნიც უშუალოდ თვალყურს ადევნებენ აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა აღსრულებას; ეს პირნი ზედმიწევნით აღნიშნულ უნდა იქნენ თვით სავალდებულო დადგენილებაში;

ბ) გადასახდელი დაიდება ოქმისა და დადგენილების შეუდგენლად, ხოლო დაჯარიმებულს მიეცემა ფულის მიღების ქვითარი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უკეთუ ჯარიმა გადახდილ არ იქნა სავალდებულო დადგენილების დარღვევის ადგილას, ის პირი, რომელსაც ჯარიმა დაედვა, მოვალეა ხელი მოაწეროს საქვითარო წიგნაკში, რომ მას გამოეცხადა ჯარიმის დადება, თანაც აღნიშნოს თავისი მისამართი და ვალდებულება, რომ სამი დღის ვადაზე ჯარიმას სარაიონო მილიციის სამმართველოში შეიტანს;

დ) უკეთუ ჯარიმა-დადებული პირი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე ან საქვითარო წიგნაკში ხელის მოწერაზე და არ უჩვენებს თავის მისამართს, აგრეთვე, უკეთუ აღიძვრის ეჭვი, რომ მან თავისი ვინაობა და მისამართი სისწორით არ უჩვენა, სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე შედგენილ უნდა იქნეს ოქმი საერთო წესისამებრ;

ე) „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქის მილიციის განყოფილების უფროსის დადგენილებით ჯარიმა შეიძლება გადიდებულ იქნეს, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ერთი-სამად, უკეთუ ასეთი გადიდების შესაძლებლობა გათვალისწინებულია თვით სავალდებულო დადგენილებაში.

23. ამა დებულების მე-19 მუხლით და 22 მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივარი გადასახდელის დადებაზე შეტანილ უნდა იქნეს მილიციის სათანადო სამმართველოს უფროსთან.

24. საჩივარი რაიონში შემავალი ქალაქის საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის მილიციის სარაიონო სამმართველოს უფროსის მიერ ადმინისტრატიული გადასახდელის დადებაზე შეიტანება ამ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე.

25. საერთო წესის გამონაკლისები, რაც ეხება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადებას, განისაზღვრება ცალკე კანონით.

---

209. დებულება

სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

I. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა.

1. სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, რომლებითაც ქვემდებარე ტერიტორიის ფარგლებში მოსახლეობისათვის, აგრეთვე დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის დამყარდება განსაზღვრული მოვალეობანი, რის დარღვევაც გამოიწვევს დამნაშავე პირთა პასუხიმგებლობას საადმინისტრაციო ან სისხლის სამართლის წესით.

2. სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონებს და აგრეთვე ზემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს, ინსტრუქციებს და სხვა აქტებს, ან არ უნდა იმეორებდეს ამ აქტების შინაარსს.

3. სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი მხოლოდ შემდეგ საკითხებზე:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ;

ბ) სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ქონების დაცვის შესახებ;

გ) სახანძრო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

დ) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის შესახებ;

ე) ეპიდემიისა, ეპიზოოტიისა და მცენარეების მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

ვ) ლოთობასთან ბრძოლის შესახებ;

ზ) კეთილმოწყობის შესახებ;

თ) ნათესებისა, ველებისა და საერთოდ, მწვანე ნარგავების გაფუჭებისა და საქონლის მიშვებით წახდენისაგან დაცვის შესახებ;

ი) გამვლელი ჯარის დაბინავების შესახებ.

4. უკეთუ საჭიროა გამოიცეს სავალდებულო დადგენილება ისეთი საკითხის შესახებ, რაც მე-3 მუხლში აღნიშნული არ არის, სასოფლო საბჭომ უნდა სთხოვოს ამ დადგენილების გამოცემა სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს.

5. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოცემულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლის ვადით დღიდან დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისა.

მოქმედების ვადის გასვლისას სავალდებულო დადგენილება ძალასა ჰკარგავს, უკეთუ იგი კვლავ არ დაადასტურა ან ახლად არ გამოსცა მისმა გამომცემმა ორგანომ.

6. სავალდებულო დადგენილება მიღებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს (ან მისი პრეზიდიუმის) სხდომაზე და ხელმოწერილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის მიერ.

7. სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მისი „სავალდებულო დადგენილებად" დასახელება;

ბ) მისი გამომცემი სასოფლო საბჭო;

გ) მისი გამოცემის დრო—წელიწადი, თვე და რიცხვი;

დ) ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდება მისი მოქმედება; ამასთანავე, დადგენილება შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც სათანადო სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მთლად, ისე ამ ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე, რაც ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული თვით სავალდებულო დადგენილებაში;

ე) იმ პირთა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წრე, როლებზედაც ვრცელდება დადგენილება; ამასთანავე იგი შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც უწყებული ტერიტორიის მოსახლეობაზე მთლად და მასზე მყოფ ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაზე, ისე მათ ამა თუ იმ განსაზღვრულ ჯგუფებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მის მიერ დადგენილი მოვალეობანი;

ზ) პასუხისმგებლობა დადგენილ მოვალეობათა დარღვევისათვის—რა პასუხისმგებლობას იწვევს დარღვევა, საადმინისტრაციო წესით თუ სისხლის სამართლის წესით (მუხ. 10); ამასთანავე აღნიშნულ უნდა იყოს იმ გადასახდელის სახე და ოდენობა, რაც შეიძლება დაედვას დამრღვევს;

თ) ვადა, რომლითაც იგია გამოცემული (მუხ. 5), და ვადა, რომლიდანაც იგი ძალაში შედის (მუხ. 8).

8. სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობად ამომრჩეველთა კრებაზე გამოცხადებით და თვალსაჩინო ადგილას გამოკიდვით: სასოფლო საბჭოს შენობასთან, ქოხ-სამკითხველოსთან, გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების კომიტეტის შენობასთან და სხვ., და ძალაში შედის ათი დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა, უკეთუ თვით სავალდებულო დადგენილებაში უფრო გვიანი ვადა არ არის აღნიშნული.

დაუყოვნებელ შემთხვევაში, როგორიც არის: ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან, ეპიდემიასთან და ეპიზოოტიასთან და გამვლელი ჯარის დაბინავება, შეიძლება აღნიშნული ვადის შემცირება და სავალდებულო დადგენილების სამოქმედოდ შემოღება დღიდან მისი გამოქვეყნებისა; ხოლო სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებამდე მისი სამოქმედოდ შემოღება არ შეიძლება.

9. სამი დღის ვადაზე დღიდან ხელის მოწერისა სავალდებულო დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს ცნობად ზემდგომ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს, კუთვნილებისამებრ, და რაიონის პროკურორს.

II. გადასახდელი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

10. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დაწესდება: ა) კანონით (სასამართლო ან საადმინისტრაციო წესით) და ბ) თვით სავალდებულო დადგენილებით (საადმინისტრაციო წესით).

შენიშვნა. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირნი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხს აგებენ კერძო პირების თანაბრად.

11. სასოფლო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით, ამ დადგენილებების დარღვევისათვის, შეიძლება დაწესებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ჯარიმა არა უმეტეს ათი მანეთისა;

ბ) იძულებითი მუშაობა არა უმეტეს, ვიდრე ხუთი დღის ვადით.

12. უკეთუ მიზანშეუწონელია ჯარიმის ან იძულებითი მუშაობის შეფარდება დარღვევის უმნიშვნელობისა ან დამრღვევის უცოდნელობის გამო და სხვ., დამრღვევს შეიძლება გამოეცხადოს გაფრთხილება.

III. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესი.

13. უკეთუ სავალდებულო დადგენილება დარღვეულია, შედგენილ უნდა იქნეს ოქმი. ოქმს შეადგენენ: ა) სასოფლო საბჭოს წევრი; ბ) მილიციის თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელი; გ) სოფლის აღმასრულებელი და დ) სხვა თანამდებობის პირი, ვისაც ეს უფლება მინიჭებული აქვს სპეციალური კანონით.

14. ბრალდებულს შეუძლიან შეიტანოს ოქმში თავისი ახსნა-განმარტება.

შედგენილი ოქმი უნდა გამოეცხადოს ბრალდებულს და ოქმს ხელი უნდა მოაწერონ: ბრალდებულმა, მოწმეებმა და ოქმის შემდგენმა.

უკეთუ ბრალდებული უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში უარის საბაბის დასახელებით.

ბრალდებულის უარი ხელის მოწერაზე ოქმის შემდგომ წარმართვას ვერ შეაჩერებს.

15. შედგენილი ოქმი დაუყოვნებლივ გაეგზავნება სასოფლო საბჭოს.

16. ოქმის მიღებისას სასოფლო საბჭო გამოიტანს დადგენილებას საქმის მოსპობის შესახებ, უკეთუ ბრალდებულის ქმედობა სადევნელი არ არის, ან ბრალდებულისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ, ან და საქმის სასამართლოში წარმართვის შესახებ, უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა სასამართლო წესით (მუხ. 10), ან უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევას დაერთო ისეთი ქმედობის ჩადენა, რაც სადევნელია სასამართლო წესით.

17. უკეთუ საქმე სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ სასამართლომ მიიღო თავისდა განსახილველად, დამრღვევს არ შეიძლება იმავე დარღვევისათვის დაედვას გადასახდელი საადმინისტრაციო წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო წარმართავს საქმეს საადმინისტრაციო წესით განხილვისათვის.

18. საქმე ისეთი დარღვევის თაობაზე, რაც ჩადენილია სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სხვა რესპუბლიკებისა ან ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისა და სახალხო კომისართა საბჭოების წევრებისა, რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების პროკურორებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების წევრებისა, მოსამართლეებისა, პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების მიერ, ან და მცირეწლოვანების და არასრულწლოვანების (ხოლო 16 წლის ასაკამდე) მიერ, წარედგინება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს—კუთვნილებისამებრ—შემდგომი წარმართვისათვის.

19. დადგენილება სასოფლო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს ერთი თვის განმავლობაში დარღვევის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე უნდა მოისპოს.

უკეთუ საქმეს პირველად აწარმოებდა სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანო, აღნიშნული ვადის დენა გამოიანგარიშება საქმის სათანადო საადმინისტრაციო ორგანოსათვის გადაცემის დროიდან.

20. ადმინისტრატიული გადასახდელი არ შეიძლება დაიდვას ისეთი ქმედობისათვის, რაც, თუმცა მისი ჩადენის დროს დარღვევა იყო, მაგრამ დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილების გამოტანის დროისათვის დარღვევად აღარ ჩაითვლება, სავალდებულო დადგენილების შეცვლისა, გაუქმებისა ან მოქმედების ვადის გასვლის გამო.

21. ადმინისტრატიული გადასახდელის გადაწყვეტის დროს სასოფლო საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს დარღვევის ხასიათი და ბრალდებულის წლოვანება, სოციალური მდგომარეობა და ქონებრივი შეძლებულობა.

22. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილება უნდა იყოს წერილობითი, ხელმოწერილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. დადგენილების ასლი უნდა ჩაბარდეს გადასახდელ-დადებულ პირს, თანაც გამოეცხადოს გადასინჯვის შესახები თხოვნის შეტანისა და განსაჩივრების წესი და ვადა.

23. იმავე წესით სასოფლო საბჭოები ადებენ დამრღვევთ ადმინისტრატიულ გადასახდელს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ დადგენილებების დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლება მინიჭებული აქვთ სასოფლო საბჭოებს თვით სავალდებულო დადგენილებებით.

ამ შემთხვევაში სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ დაადვან დამრღვევს გადასახდელი ამა დებულების მე-11 მუხლით დადგენილ ფარგლებში, უკეთუ თვით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა ან საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით გათვალისწინებული არ არის უფრო ნაკლები გადასახდელი.

უკეთუ სასოფლო საბჭო საჭიროდ სცნობს გადასახდელის დადებას ისეთ ფარგლებში, რაც აღემატება მის უფლებამოსილობას, იგი დამრღვევს გადასახდელს არ დაადებს და საქმეს წარუდგენს სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს.

IV. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გადასინჯვისა და განსაჩივრების წესი.

24. ხუთი დღის ვადაზე ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან გადასახდელ-დადებულ პირს შეუძლიან სთხოვოს სასოფლო საბჭოს დადგენილების გადასინჯვა და აგრეთვე განასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში—კუთვნილებისამებრ.

გადასინჯვის თხოვნის გამო გამოტანილი დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთი დღის განმავლობაში იმ დღიდან, რაც ბრალდებულს ეცნობა ეს დადგენილება.

25. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ისე უშუალოდ თვით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში.

უკეთუ საჩივარი შეტანილია სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ეს უკანასკნელი მოვალეა წარადგინოს საჩივარი მთელი საქმითურთ კუთვნილებისამებრ, სამი დღის ვადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ საჭიროა, სასოფლო საბჭოს შეუძლიან დაურთოს თავისი ახსნა-განმარტება.

26. საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს განაპროტესტოს დადგენილება ადმინისტრატიული გადასახდელის დადებისა და საქმის მოსპობის შესახებ.

27. გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გამო გადასინჯვის თხოვნისა და საჩივრის შეტანა (24 მუხლის 1 ნაწ.) ან პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულებას.

უკეთუ განსაჩივრებულია დადგენილება იმ თხოვნის გამო, რაც შეტანილ იქნა ადმინისტრატიული გადასახდელის დადებაზე გამოტანილი დადგენილების გადასინჯვის შესახებ (24 მუხ. მე-2 ნაწ.), დადგენილების აღსრულების შეჩერება სავალდებულო არ არის.

28. გადასინჯვის თაობაზე შეტანილი თხოვნის გამო ან საჩივრის გამო ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გადასინჯვის დროს ადმინისტრატიული გადასახდელის ერთი სახე შეიძლება შეიცვალოს სხვა სახედ, ხოლო გადასახდელის სიმძიმის გაუდიდებლად, გადასახდელის აღსრულება გადაიდოს სხვა ვადისათვის ან იგი სრულიად გაუქმებულ იქნეს; ფულადი გადასახდელი შეიძლება აგრეთვე ვადადანაწილებულ იქნეს.

დადგენილების ასლი მიეცემა ბრალდებულს, ხოლო, უკეთუ დადგენილება გამოტანილია საპროკურორო ზედამხედველობის პირის პროტესტის გამო, ასლი გაეგზავნება ამ უკანასკნელსაც.

29. წინასწარი შეცნობით გადასახდელის უკანონოდ დადება გამოიწვევს გადასახდელის დამდები პირის პასუხისგებაში მიცემას სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლის თანახმად.

30. საჩივრისა თუ პროტესტის გამო გამოტანილი დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

V. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულების წესი.

31. დადგენილებას ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღასრულებს სასოფლო საბჭო მილიციისა და სოფლის აღმასრულებლის მეშვეობით.

32. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულებას ის, ვისაც ეს ევალება, უნდა შეუდგეს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან. ის დადგენილება, რომლის აღსრულებასაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შესდგომიან, ძალასა ჰკარგავს.

შენიშვნა. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაში შესულად ითვლება იმ ვადების გასვლისას, რაც დაწესებულია გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შეტანისათვის და განსაჩივრებისათვის (მუხ. 24),

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ თხოვნა გადასინჯვის შესახებ, საჩივარი ან პროტესტი შეტანილი არ არის.

საჩივრისა თუ პროტესტის გამო გამოტანილი დადგენილება (მუხ. 30) ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

33. როდესაც ადმინისტრატიულ გადასახდელად დადებულია ჯარიმა, ამ ჯარიმის თანხა დამრღვევმა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, სასოფლო საბჭოში ან სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ სააგენტოში ათი დღის განმავლობაში დღიდან დარღვევისათვის გადასახდელის დადების შესახები დადგენილების გამოცხადებისა.

მუშისა თუ მოსამსახურისათვის საადმინისტრაციო წესით დაკისრებული ჯარიმის იძულებით გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს მის სამუშაო ხელფასზე, რაც მას დამქირავებლისაგან ერგება.

34. იძულებითი მუშაობის სახით გადასახდელ-დადებულს სასოფლო საბჭო გაჰგზავნის უფასოდ საერთო სარგებლობის სამუშაოზე (ხიდებისა, საავადმყოფოებისა, სკოლებისა, გზებისა და სხვ. რემონტი).

35. უკეთუ გადასახდელი იძულებითი მუშაობის სახით დაედვა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო მსახურს, დადგენილება წარუდგინება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს კუთვნილებისამებრ, ჯარის სათანადო უფროსისათვის გასაგზავნად.

36. სოფლის საბჭოს უფლება აქვს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულების პროცესში ადმინისტრატიული გადასახდელის ერთი სახე შესცვალოს სხვა სახედ, ხოლო გადასახდელის სიმძიმის გაუდიდებლად, გადასდოს გადასახდელის აღსრულება სხვა ვადისათვის, შეამციროს გადასახდელი ან სრულიად გააუქმოს იგი, ხოლო ფულადი გადასახდელი აგრეთვე დაანაწილოს ვადებზე.

37. ადმინისტრატიული გადასახდელი არ აღისრულება, ხოლო დაწყებული აღსრულება გაუქმდება, უკეთუ ქმედობა, რომლისთვისაც გადასახდელი დაიდვა, თუნდაც იგი ჩადენის დროს დარღვევა ყოფილიყოს, დარღვევად აღარ ჩაითვლება დარღვეული სავალდებულო დადგენილების შემდგომ შეცვლისა, გაუქმებისა ან მოქმედების ვადის გასვლის გამო.

---

210. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებების დამტკიცებასა და სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დღევანდელ დღეს დამტკიცებული ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებების შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

გაუქმებულ იქნეს ქვემოდ ჩამოთვლილი აქტები:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ის თარიღისა და 43 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელთა დადების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 71 და მე-5 №-ი, მუხ. 174; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 93);

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური ადმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის თარიღისა და 62 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელთა დადების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145 და 23 №-ი, მუხ. 288; 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169; 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 75);

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 27-ის თარიღისა და 82 №-ის დადგენილება „ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ-დააწესოს ადმინისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის“ (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 153; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 147);

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 205).

II

შეტანილ იქნეს ქვემოდ ჩამოთვლილ აქტებში შემდეგი ცვლილებანი:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ის თარიღისა და 81 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 129 და მე-14 №-ი, მუხ. 146):

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-4 მუხლი, მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-10 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. დადგენილების გამოტანა ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დადგენილების დარღვევის დღიდან; ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე უნდა მოისპოს“.

„7. (1-ლი ნაწ.) გადასახდელ-დადებულ პირს შეუძლიან, ხუთი დღის ვადაზე დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, სთხოვოს კურორტის დირექტორს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა, აგრეთვე განასაჩივროს ეს დადგენილება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში“.

„10. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახები დადგენილების აღსრულებას ის, ვისაც ეს ეკალება, უნდა შეუდგეს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან. დადგენილება, რომლის აღსრულებასაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შესდგომიან, ძალასა ჰკარგავს.

შენიშვნა 1. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაში შესულად ჩაითვლება იმ ვადის გასვლისას, რაც დაწესებულია გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შეტანისათვის და განსაჩივრებისათვის, უკეთუ თხოვნა გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი (თუ პროკურორის პროტესტი) შეტანილი არ ყოფილა“.

მე-10 მუხლის მე-2 შენიშვნა დატოვებულ იქნეს უცვლელად.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილებაში „მშრომელ მოსახლეობაში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 241; 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 222):

მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. იმ პირს, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებას წერაკითხვის უცოდინარობის ან მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში, აგრეთვე იმ პირს, ვინც ხელს შეუშლის ამ მოვალეობის შესრულებას, დაედება, საადმინისტრაციო წესით, გადასახდელი—იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა ას მანეთამდე; ამ გადასახდელს დამნაშავეს დაადებს საქალაქო ან სარაიონო მილიციის სამმართველოს უფროსი, კუთვნილებისამებრ, იმ წესით, რაც დადგენილია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 17 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ“.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 204):

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 მუხლი მიღებული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის სფეროში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიენიჭოს სახალხო კომისარიატებთან გათანასწორებულ ცენტრალურ დაწესებულებათა უფლებანი (1-ლი მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 17 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებაში „კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5):

მე-8 მუხლის I-ლი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ კომუნალურ საბინაო ფონდში ხვედრი საცხოვრებელი ფართობის გადაცემისაგან თავის არიდებისათვის. სახლის პატრონი თავისუფალ ოთახს დამალავს ან კომუნალურ საბინაო ფონდში გადასაცემ თავისუფალ ოთახს დაიჭერს, მას დაედება ადმინისტრატიული გადასახდელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების“ წესისამებრ“.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 14-ის დადგენილებაში „საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 154):

მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს გადაეწყვიტება საადმინისტრაციო წესით იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა ას მანეთამდე, რასაც დაადებს მას სარაიონო ან საქალაქო მილიციის სამმართველოს უფროსი ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით დადგენილი წესისამებრ“.

6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. მაისის 24-ის დადგენილებაში „მუსლიმანთა „მაჰერამის“ თვის დღეებში რელიგიური ხასიათის მსვლელობისა, დემონსტრაციისა და სარწმუნოებრივი წესების საჯაროდ აღსრულების აკრძალვის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 132):

მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს გადაეწყვიტება საადმინისტრაციო წესით იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა ას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთამდე, რასაც დაადებს მას სარაიონო ან საქალაქო მილიციის სამმართველოს უფროსი ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით დადგენილი წესისამებრ".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

211. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნა (კან. კრ. 1930 წ. 10 №-ი, მუხ. 123) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 3.** ამა მუხლით დაწესებული ხანდაზმულობა არ გავრცელდება ისეთ ქმედობაზე, რაც ამა კოდექსის თანახმად დევნილ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით. ასეთი ქმედობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ ორი თვის განმავლობაში დღიდან ქმედობის ჩადენისა და აღსრულება—ორი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების ძალაში შესვლისა.

ამა კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება ერთი წლის განმავლობაში დღიდან ქმედობის ჩადენისა".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმასრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

მთავლიტი 1770. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.020.